

## აპრილი, 2025 კლიმატური დახასიათება

აპრილის თვეში ამინდს საქართველოში, ძირითადად, განაპირობებდა დაბალი წნევის არე და მასთან დაკავშირებული ციკლონური აქტივობა. თვის პირველ დეკადაში ხმელთაშუაზღვიური ციკლონების გავლენით დასავლეთიდან ნოტიო ჰაერის მასების ინტენსიურმა შემოჭრამ გამოიწვია გადაბმულად ნალექიანი ეპიზოდი თითქმის მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. მეორე დეკადაში ნალექიანი ეპიზოდები დაკავშირებული იყო ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაზე ჩამოყალიბებული დაბალი წნევის ღარის ზემოქმედებასთან, ხოლო თვის ბოლოს - ჩრდილო-დასავლეთიდან შედარებით ცივი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელებასთან. უნალექო დღეები და თბილი ეპიზოდები უკავშირდებოდა სამხრეთიდან გადმოტანილ შედარებით თბილი ჰაერის მასებს.

აპრილში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ნორმის ფარგლებში აღინიშნა (ნახ.1). ტემპერატურის გადახრამ მრავალწლიური ნორმიდან საშუალოდ  $+0.2^{\circ}\text{C}$  შეადგინა, უდიდესი დადებითი გადახრებით ( $+1.1^{\circ}\text{C}$ -მდე) ჯავახეთის ზეგნის ცენტრალურ ნაწილში. ტემპერატურის უარყოფითი გადახრები ( $-1.2^{\circ}\text{C}$ -მდე) შავი ზღვის სანაპირო ზოლში და კოლხეთის დაბლობზე, ასევე, ქვეყნის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში ცალკეულ რაიონებში დაიკვირვებოდა.

თვის საშუალო ტემპერატურა დასავლეთის დაბლობ და მთიან რაიონებში და აღმოსავლეთის ვაკე ტერიტორიაზე  $+11$ ,  $+14^{\circ}\text{C}$ -ის, ხოლო დანარჩენ მთიან და მაღალმთიან ნაწილში  $+7$ ,  $+11^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში აღინიშნა.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმები ქვეყნის უმეტეს რაიონებში, ძირითადად, თვის მესამე დეკადაში (21-27 აპრილი), ხოლო სანაპირო რაიონებში და კოლხეთის დაბლობზე - თვის დასაწყისში (1 აპრილი) დაფიქსირდა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას აპრილის თვეში ადგილი არ ქონია. ტემპერატურამ ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს  $+27$ ,  $+30^{\circ}\text{C}$ -ს დასავლეთის დაბლობ რაიონებში და აღმოსავლეთის ვაკე ტერიტორიაზე (ქვემო ქართლი, კახეთი) მიაღწია.


აპრილში ყველაზე დაბალი ტემპერატურები თვის შუა რიცხვებში (11-13 აპრილი) აღინიშნა, როდესაც აბს. მინიმუმები მთიან და ასევე, ქვეყნის ცენტრალურ ვაკე რაიონებშიც (ხაშური, გორი)  $-3$ ,  $-5^{\circ}\text{C}$ -მდე, ხოლო სამხრეთ საქართველოს მთიანეთის მაღალ ზონაში ზოგან  $-8$ ,  $-11^{\circ}\text{C}$ -მდე დაეცა.

ნალექების რაოდენობის მიხედვით, აპრილის თვე ქვეყნის თითქმის მთელს ტერიტორიაზე ნორმის მახლობელი ან უფრო მაღალი ნალექიანობით ხასიათდებოდა. მრავალწლიურ ჭრილში, დაწყებული 1956 წლიდან, ეს იყო რიგით მე-12, ხოლო 2015 წლის შემდეგ - ყველაზე ნალექიანი აპრილი (ნახ.2).


ყველაზე მომატებული ნალექიანობა აღინიშნა მცხეთა-მთიანეთში და სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთ რაიონში, ნორმალურ მნიშვნელობებთან შედარებით დაახლოებით ორჯერ მაღალი ნალექების თვის ჯამებით. ასევე, ნორმასთან მიმართებაში 30-60%-ით მეტი ნალექი დაფიქსირდა ქართლში ვაკე ტერიტორიაზე და აჭარის სანაპირო ზოლში. ქვეყნის ფარგლებში ნალექების მაქსიმალური რაოდენობა სამეგრელოს დაბლობ რაიონებში, მცხეთა-მთიანეთში და რაჭა-ლეჩხუმში (180-200 მმ) მოვიდა. ნალექების გარკვეულ დეფიციტს ადგილი ჰქონდა მხოლოდ სამხრეთ საქართველოს ცალკეულ მაღალმთიან რაიონებში, სადაც თვის მანძილზე ყველაზე მშრალი პირობები (მრავალწლიური საშუალო მნიშვნელობის 60%-მდე) დაიკვირვებოდა.

როგორც ჩანს, მიმდინარე წლის აპრილის თვეში ნორმაზე მაღალი ნალექიანობა განპირობებული იყო ნალექიან დღეთა სიხშირით. ამასთან, თვის შუა რიცხვებში აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ადგილი ჰქონდა რამდენიმე უხვნალექიან ეპიზოდს, როდესაც 24-საათში თვის ნორმის თითქმის ნახევარი მოვიდა (თბილისი, ბოლნისი, ფასანაური).

22 აპრილს ქართლ-კახეთის ცალკეულ რაიონებში ადგილი ჰქონდა არახელსაყრელ და სახიფათო მეტეოროლოგიურ მოვლენებს. ქ. თბილისის ცალკეული უბნებში დაფიქსირდა ძლიერი სეტყვა, სეტყვის მარცვლის მაქსიმალური დიამეტრით 22 მმ. ზიანი მიადგა მოსახლეობის კუთვნილ ქონებას, მათ შორის, გამოიწვია სატრანსპორტო საშუალებების მნიშვნელოვანი დაზიანება. დაისეტყვა ასევე გურჯაანის და კასპის მუნიციპალიტეტის სოფლები. განადგურდა სახნავ-სათესი სავარგულების ნაწილი.



ნახ.1. აპრილის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ანომალიები საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში



ნახ.2. ატმოსფერული ნალექების აპრილის თვის ჯამების ანომალიები პროცენტებში საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში